



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2018 წლის 08 ოქტომბერი

ქ. თბილისი

დისციპლინური საქმე №230/17

მოსამართლე — მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- (წარმომადგენელი) 2017 წლის 20 დეკემბრის №-- საჩივრის საფუძველზე, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 15 მაისის №230/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ -- რაიონული სასამართლოს მაგისტრატმა მოსამართლემ -- მუნიციპალიტეტში -- --, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 267-ე და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 283-ე მუხლის მოთხოვნათა დაუცველად, იძულებით აღსასრულებლად მიაქცია კანონიერ ძალაში შეუსვლელი (როცა იძულებითი აღსრულების აუცილებლობა არ არსებობდა) უკანონო დადგენილება, რაც გასაჩივრებელია -- სააპელაციო სასამართლოში.

საჩივრის ავტორის თქმით, აღნიშნული დადგენილების არსებობის შესახებ მათთვის ცნობილი

გახდა მხოლოდ 2017 წლის 25 ოქტომბერს. 2017 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს ფოსტამ გადასცა 2017 წლის 24 ივლისით დათარიღებული წერილით გადმოგზავნილი 2017 წლის 10 ივლისის დადგენილება - ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, ამასთან, როგორც ფოსტის შტამპით დასტურდება, ფოსტას გზავნილი ჩაბარდა მხოლოდ 2017 წლის 23 ოქტომბერს, რითაც მოსამართლემ კანონით დადგენილ ვადაში ვერ უზრუნველყო დადგენილების გამოგზავნა.

-- -- საჩივარში უთითებს, რომ დადგენილების სარეზოლუციო ნაწილში განმარტებულია - გასაჩივრების ვადა დადგენილების ჩაბარებიდან 10 დღე, მიუხედავად ამისა, დადგენილების მათთვის გაგზავნამდე, კანონიერ ძალაში შეუსვლელი დადგენილება მოსამართლემ მიაქცია აღსასრულებლად. 2017 წლის 05 დეკემბერს ჩაბარდათ -- სააღსრულებო ბიუროს 2017 წლის 02 დეკემბრის შეტყობინება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ, საიდანაც შეიტყვეს, რომ მოსამართლე -- -- მიერ 2017 წლის 07 ნოემბერს გამოწერილი იყო სააღსრულებო ფურცელი (მათთვის დადგენილების გამოგზავნამდე).

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის -- რეგიონული სამმართველოდან 2017 წლის 26 აპრილს -- რაიონულ სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში -- მუნიციპალიტეტში განსახილველად გადაიგზავნა შპს „-- --“-ს მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №-- და საქმის მასალები.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №-- (21/04/2017) ოქმის თანახმად, შპს, -- -- --“-ს მიერ თავის საკუთრებაში არსებული სატბორე მეურნეობის საჭიროებისთვის, გადაკეტილ იქნა მდინარე -- კალაპოტი და მდინარის მთელი წყალი მიმართული იქნა ტბორების მკვებავ არხში, შედეგად, მდინარე -- ერთ კილომეტრიანი კალაპოტი იყო დამშრალი, რაც წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 48-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას (წყლის ობიექტის თვითნებური დაკავება).

სამართალდარღვევის საქმის მასალები -- რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში -- მუნიციპალიტეტში შევიდა 2017 წლის 28 აპრილს.

საქმეზე პირველი სასამართლო სხდომა გაიმართა 2017 წლის 16 მაისს. ოქმის შემდგენი ორგანოს წარმომადგენლის თხოვნით (ავადმყოფობის მიზეზით) საქმის განხილვა გადაიდო 2017 წლის 29 მაისს.

2017 წლის 29 მაისს გამართული სხდომა გადაიდო 2017 წლის 12 ივნისს. სასამართლომ

სამართალდარღვევაში ბრალეულ პირს დაავალა დოკუმენტის წარმოდგენა.

საქმის მასალებში არსებული მოსამართლის თანაშემწის ხელმოწერილი ცნობის მიხედვით, 2017 წლის 12 ივნისს ჩანიშნული სხდომა არ ჩატარდა (მიზეზი მითითებული არ არის).

შემდგომი სხდომა გაიმართა 2017 წლის 19 ივნისს. სასამართლომ სამართალდარღვევაში ბრალეულ პირს დაავალა ინფორმაციის წარმოდგენა. შემდგომი სხდომა ჩაინიშნა 2017 წლის 26 ივნისს.

2017 წლის 26 ივნისს კვლავ გადაიდო სასამართლო სხდომა 2017 წლის 4 ივლისს. სასამართლომ შპს „--- ---“ სერვის ცენტრს დაავალა სხდომაზე უფლებამოსილი პირის წარმოდგენა.

საქმის მასალებში არსებული მოსამართლის თანაშემწის ხელმოწერილი ცნობის მიხედვით, 2017 წლის 04 ივლისს ჩანიშნული სხდომა არ ჩატარდა (მიზეზი მითითებული არ არის).

2017 წლის 10 ივლისს, მოსამართლე -- -- მიიღო გადაწყვეტილება (დადგენილება №--/--2017) შპს „-- -- --“-ს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 48-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩამდენად ცნობის და 200 ლარის ოდენობით ჯარიმის დაკისრების თაობაზე. დადგენილებით განიმარტა, რომ ჯარიმის თანხა გადახდილი უნდა ყოფილიყო დადგენილების ასლის ჩაბარებიდან არა უგვიანეს 07 დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დადგენილების იძულებით აღსასრულებლად ამოიწერებოდა სააღსრულებო ფურცელი. სამართალდამრღვევის წარმომადგენელი -- -- 2017 წლის 10 ივლისის პროცესზე არ გამოცხადებულა.

საქმეში წარმოდგენილია მოსამართლე -- -- თანაშემწის 2017 წლის 24 ივლისის წერილი, რითაც ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება საქმეზე №--/-- -2017 ეგზავნება შპს „-- --- --“-ს.

სასამართლო საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საქმეზე №--/-- -2017 ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების ატვირთვის თარიღად მითითებულია 2017 წლის 23 ოქტომბერი.

საქართველოს ფოსტის მონაცემებზე დაყრდნობით, დადგენილება №--/-- -2017, შპს „-- --- --“-ს გაეგზავნა 2017 წლის 23 ოქტომბერს და ადრესატს ჩაბარდა 2017 წლის 25 ოქტომბერს.

საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ საქართველოს ფოსტის კონვერტის ასლზე და საქმეში არსებულ საქართველოს ფოსტის კონვერტზე ფიქსირდება შტამპი - „-- რაიონული სასამართლო მაგისტრატი მოსამართლე -- მუნიციპალიტეტში“, სადაც №--/-- -2017 საქმეზე დადგენილების გაგზავნის თარიღად მითითებულია „2017 წლის 24 ივლისი“, ხოლო კონვერტზე გზავნილის გასაგზავნად ჩაბარების დამადასტურებელ საქართველოს ფოსტის შტამპში მითითებულია თარიღი - „2017 წლის 23 ოქტომბერი“.

ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებაზე №--/-- -2017, შპს „-- -- --“-ს წარმომადგენლის -- -- საჩივარი -- რაიონული სასამართლო -- მუნიციპალიტეტში მაგისტრატ სასამართლოში შევიდა 2017 წლის 02 ნოემბერს.

მოსამართლე -- --, №--/-- -2017 დადგენილების იძულებით აღსრულების მიზნით, სააღსრულებო ფურცელი გამოწერა 2017 წლის 7 ნოემბერს, რაც მოსამართლის თანაშემწის მიერ იმავე დღეს გადაეგზავნა აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის დადგენილებით, არ დაკმაყოფილდა შპს „-- -- --“-ს წარმომადგენლის -- -- საჩივარი და უცვლელად დარჩა -- რაიონული სასამართლო -- მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს 2017 წლის 10 ივლისის დადგენილება.

2.2. 2017 წელს მოსამართლე -- -- წარმოებაში არსებული საქმეების სტატისტიკური მონაცემები არის შემდეგი, სულ წარმოებაში მიიღო 1317 საქმე და დაასრულა 1244 (94%), კერძოდ, სისხლის სამართლის საქმე - 118 და დაასრულა 83 (70%), წინასასამართლო სხდომები - 51 და დაასრულა 51 (100%), საპროცესო შეთანხმებით - 72 და დაასრულა 72 (100%), აღკვეთის ღონისძიება - 136 და დაასრულა 136 (100%), საგამომიებო შუამდგომლობა - 264 და დაასრულა 264 (100%), სხვა ტიპის საქმეები - 43 და დაასრულა 43 (100%), სამოქალაქო საქმე - 104 და დაასრულა 77 (74%), ადმინისტრაციული საქმე - 18 და დაასრულა 17 (94%), სამართალდარღვევები - 511 და დაასრულა 501 (98%).

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების თანახმად, დისციპლინური გადაცდომის სახეებს წარმოადგენს - „საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება“ და „მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება“. ამასთან, სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁷ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემას შეიძლება საფუძვლად დაედოს ის გარემოებები, რომელიც მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ საჩივარში, განცხადებაში ან სხვა ინფორმაციაში მითითებული არ ყოფილა და რომელიც წინასწარ შემოწმების დროს გამოვლინდა.

განსახილველ შემთხვევებში, იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია

განისაზღვროს, თავისი არსით რას წარმოადგენს - „საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება“ და „მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება“. აღნიშნულ გადაცდომებთან დაკავშირებით, დამატებით განმარტებებს არ გვაძლევს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაწყვეტილებებიც ნაკლებად იძლევა აღნიშნული საკითხების განზოგადების შესაძლებლობას.

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

ამასთან, იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები არაგონივრული საინტერესოა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია: 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (*Katte Klitsche de la Grande v. Italy*, 55; *Papachelas v. Greece*, 39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (*H. V. United Kingdom*, 72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (*Human v. Poland*, 63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (*Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania*, 150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (*Koenig v. Germany*, 103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (*Acquaviva v. France*, 61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (*Pafitis and others v. Greece*; 93; *Tiece v. San Marino*; 31; *Suermeli v. Germany*, 129).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (*Frydlender v. France*, 43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (*Koenig v. Germany*; 98).

აღსანიშნავია, რომ კანონი აგრეთვე არ აკონკრეტებს თუ რა იგულისხმება მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებაში, შესაბამისად, ამ საკითხზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს არის თუ არა საუბარი სამოსამართლო ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან დაუდევრობაზე, ან უგულისყურო შესრულებაზე, სისტემატიურად და არასაპატიო მიზეზით, რასაც იზიარებს საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა და სადისციპლინო პრაქტიკა (ესპანეთი, იტალია, ბულგარეთი, რუმინეთი, ხორვატია, მაკედონია და ა.შ.)

უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს არა მხოლოდ მოსამართლის, არამედ საჯარო მოხელეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს, ისევე როგორც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთათვის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

თუმცა, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლესთან მიმართებაში საკმაოდ რთულია დადგინდეს თუ სად გადის ზღვარი ერთის მხრივ, მოსამართლის სამართლებრივ შეცდომას და მეორეს მხრივ დისციპლინურ გადაცდომას შორის. ვინაიდან, ერთი მხრივ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძველად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო მეორეს მხრივ ცალკე დისციპლინურ გადაცდომის სახეს წარმოადგენს მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. ამდენად, უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს მოსამართლის რომელი ქმედება უნდა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად და რომელი სამართლებრივ შეცდომად.

ამ მიმართებით საინტერესოა, სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილება, სადაც პალატამ გააკეთა განმარტება სამართლებრივ შეცდომისა და დისციპლინური გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. სადისციპლინო პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის კანონიერების პრინციპის და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში“. ამდენად, უნდა განიმარტოს, რომ არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლის არასწორი მოქმედება/უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით

მინიჭებულ ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.

იდენტური დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის და პრაქტიკის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რომლის შესაბამისადაც, მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობად ან არაჯეროვნად შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიაზრებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლის საშუალებითაც ხდება დარღვეული უფლებების სრულად აღდგენა.

აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ სასამართლომ განმარტა, რომ მე-6 (§1) მუხლი ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს წარუდგინოს თავის სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული საჩივარი (იხ. *Golder c. Royaume-Uni*, 21 février 1975, §§ 28-36, série A no 18). სასამართლოსათვის საჩივრის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული უწყებების მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას (იხ. *Hornsby*, ხსენებული ზემოთ §§ 40 და შემდგომ). სტრასბურგის სასამართლომ მართლმსაჯულების ეფექტიანად აღსრულების გამოჩენაზე ყურადღება გაამახვილა მოცემულ საქმეებში (*Vermeulen v. Belgium*, § 34; *Lobo Machado v. Portugal*, § 32). მართლმსაჯულების ცხადად აღსრულება ხელს უწყობს მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიზნის, კერძოდ, სამართლიანი სასამართლოს მიღწევას („დინეტი საფრანგეთის წინააღმდეგ” (*Diennet v. France*, § 33); „მარტინი საფრანგეთის წინააღმდეგ” (*Martinie v. France [GC]*, § 39)).

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე -- -- წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველ მოსამართლეს. შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას, აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის წესსა და ვადებს.

სასკ-ის 48-ე მუხლის შესაბამისად, წყლის ობიექტის თვითნებური დაკავებისათვის გათვალისწინებულია ჯარიმა 200 ლარის ოდენობით.

სასკ-ის 208-ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის 48-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმე განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო.

სასკ-ის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს უფლებამოსილი ორგანო (თანამდებობის პირი) განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის და სხვა მასალების მიღებიდან თხუთმეტი დღის ვადაში.

სასკ-ის 268-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საქმეზე მიღებული დადგენილების ასლი 3 დღის ვადაში ჩაბარდება ან გაეგზავნება პირს, რომლის მიმართაც არის გამოტანილი დადგენილება. დადგენილების ასლი 3 დღის ვადაში ჩაბარდება აგრეთვე დაზარალებულს მისივე თხოვნით. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დადგენილების ასლი ჩაბარდება ხელწერილით. დადგენილების ასლის გაგზავნის შემთხვევაში საქმეში კეთდება სათანადო ჩანაწერი.

სასკ-ის 273-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში.

სასკ-ის 283-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 208-ე და 208²-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების თაობაზე გამოტანილი დადგენილებების გასაჩივრება არ აჩერებს მათ აღსრულებას, თუ ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

სასკ-ის 290-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალდამრღვევმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს დაჯარიმების შესახებ დადგენილების ასლის მისთვის ჩაბარებიდან, ადგილზე დაჯარიმების შემთხვევაში – საჯარიმო ქვითრის მისთვის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, ამ კოდექსის 242-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში – ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრისათვის ან აღნიშნულ მისამართზე მასთან მცხოვრები ოჯახის რომელიმე სრულწლოვანი წევრისათვის საჯარიმო ქვითრის ფოსტით ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, ხოლო ამ კოდექსის 208-ე და 208² მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა საქმეებზე დაჯარიმებისას – დაჯარიმების შესახებ დადგენილების ასლის მისთვის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის დინება შეჩერდება დადგენილების, აგრეთვე ამ კოდექსის 234¹ მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ან გაპროტესტების შემთხვევაში – საჩივრის ან პროტესტის განუხილველად დატოვების თაობაზე შეტყობინების ჩაბარებამდე, გარდა ამ მუხლის 1⁵ ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

სასკ-ის 290-ე მუხლის 1⁵ ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 208-ე და 208² მუხლებით

გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების თაობაზე გამოტანილი დაჯარიმების შესახებ დადგენილებების გასაჩივრება არ აჩერებს ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადის დინებას.

განსახილველ შემთხვევაში, საქმეში არსებულ მასალებზე დაყრდნობით, შპს „-- -- --“-ს ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება ჩაბარდა 2017 წლის 25 ოქტომბერს, ხოლო სააღსრულებო ფურცელი გამოიწერა 2017 წლის 07 ნოემბერს, რა დროსაც გასული იყო სასკ-ის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდის 07 დღიანი ვადა, რაც მოსამართლის მხრიდან ამ კუთხით რაიმე დარღვევას გამორიცხავს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისა და დადგენილების სამართალდამრღვევისათვის გაგზავნის კანონით დადგენილი ვადების დაცვის საკითხთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს შემდეგი:

2017 წლის 28 აპრილს სასამართლოში შესულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალებზე საქმის განხილვა დაიწყო 2017 წლის 16 მაისს და დასრულდა 2017 წლის 10 ივლისს, რითაც საქმის განხილვა ნაცვლად კანონით დადგენილი 15 დღის ვადისა - გაგრძელდა ორ თვეზე მეტ ხანს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ შპს „-- -- --“-ს (სამართალდამრღვევს) ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ 2017 წლის 10 ივლისის დადგენილება ჩაბარდა 2017 წლის 25 ოქტომბერს, კანონით დადგენილი 03 დღის ნაცვლად, სამ თვეზე მეტი ხნის ვადაში.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მხედველობაში მიიღო მოსამართლის დატვირთულობა, ამასთან, ის გარემოება, რომ

მოსამართლემ საქმეზე განახორციელა არაერთი საპროცესო მოქმედება და მიიჩნია, რომ საქმის განხილვისა და დადგენილების ჩაბარების ვადის დარღვევა გამოწვეული იყო მოსამართლის დატვირთულობით. შესაბამისად, 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 11 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა) მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №230/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი